სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №03-1783

ქ. თბილისი

20.11.2014

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საბაკალავრო საფეხურზე სწავლის უფლების მქონე ანი ხალიანის ჩარიცხვის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №224/ნ საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 10 ნოემბრის №1259 ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2014 წლის 11 ნოემბრის MES 9 14 00892286 წერილის (უნივერსიტეტში შემოსული 14.11.2014 №03-37811/14), ანი ხალიანის 2014 წლის 19 ნოემბრის №03-38109/14 განცხადების, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის გიორგი გვალიას 2014 წლის 18 ნოემბრის №03-38110/14 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. ანი ხალიანი (ისრაელის მოქალაქე (14805828), ჩაირიცხოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სწავლების საბაკალავრო პროგრამაზე – ჰუმანიტარული მეცნიერებები: ებრაისტიკა.

2. ეს ბრძანება ბათილია მისი გამოცემის მომენტიდან, თუ არ დასტურდება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების

მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილება.

3. დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს ანი ხალიანის პირადი საქმის მოწესრიგება.

4. დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში ანი ხალიანისთვის უზრუნველყოს კრედიტების აღიარება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

6. დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს ამ ბრძანებით მიღებული გადაწყვეტილება ასახოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა „არგუსში“, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ერთიანი სტუდენტური რეესტრის მონაცემთა ბაზასა და შიდასაუნივერსიტეტო რეესტრში.

7. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ეს ბრძანება გააცნოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, საფინანსო და აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე ირინა ბაზღაძეს და სტუდენტ ანი ხალიანს.

რექტორი **გიგა ზედანია**